პროგრამის აღწერა	3318 სანატი წერტილის მოვლა-პატრონობა 132 კმ გრძივი მეტრი საკაბელო ხაზით. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: - გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; - გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა; გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურების ქვეპროგრამათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების 3318 სანატი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.		
------------------	---	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		280
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების(4092ერთეული) მიერ მომხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; ღამის საათებში ცაგერისმუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		147,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურება		
ქვეპროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ცაგერის და 58 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 3318 სანათი წერტილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		3056.39
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		



პროგრამის აღწერა	2023 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. ამ პროგრამაში ასახვას ჰპოვებს წინა წელს დაწყებული და გარდამავალი პროექტების და ასევე ახალი პროექტები, კერძოდ: • სოფ. წიფერჩის საბავშვო ბაღი • სოფ.ქულბაქის საბავშვო ბაღი • სოფ.ქვ.დვირიშის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია • სოფ.ისუნდერში ბუნებრივ მწვანე ჩანჩქერთან და ციხე-სიმაგრესთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია • დეხვირისციხეთა კომპლექსის ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ განთავსებული მუზეუმის არტეფაქტების საგამოფენო სივრცის მოწყობა • მერიის შენობის სახურავის და ეზოს კეთილმოწყობა • ქ.ცაგერში 9აპრილის მემორიალის სკვერის რეაბილიტაცია		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები(ფასადები და სკვერები)	დაფინანსება ათას ლარში
	02 05 01		2986.39
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	კეთილმოწყობის ღონისძიებები (სკვერები და ფასადები)		
ქვეპროგრამის აღწერა	2023 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.		
	ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
ქვეპროგრამის აღწერა	ამ პროგრამაში ასახვას ჰპოვებს წინა წელს დაწყებული და გარდამავალი პროექტების და ასევე ახალი პროექტები, კერძოდ:		
	• სოფ. წიფერჩის საბავშვო ბაღი • სოფ.ქულბაქის საბავშვო ბაღი • სოფ.ქვ.დვირიშის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია • სოფ.ისუნდერში ბუნებრივ მწვანე ჩანჩქერთან და ციხე-სიმაგრესთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია • დეხვირისციხეთა კომპლექსის ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ განთავსებული მუზეუმის არტეფაქტების საგამოფენო სივრცის მოწყობა • მერიის შენობის სახურავის და ეზოს კეთილმოწყობა • ქ.ცაგერში 9აპრილის მემორიალის სკვერის რეაბილიტაცია		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების	დაფინანსება ათას ლარში
	02 05 04	მშენებლობა/რეაბილიტაცია	70
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	2023წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული		



ქვეპროგრამის აღწერა	პროექტების დაფინანსება. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
---------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		669,25
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		

როგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		721.83
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით: ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი; ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი; გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16000 ლარი; დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი. დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით: ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი; ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა; გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა. თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #2752 დადგენილებით.		



პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება	დაფინანსება ათას ლარში	
	02 09		485,88	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა	2023 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური რჩება შიდარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდარაიონული ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.ამ მიზნით 2023 წელსაც განხორციელდება ცაგერი-ტვიშის , ცაგერ-ლაილაში- თაბორის, ცაგერი-ღვირიშის,ცაგერი-ზოგიში, ცაგერი-ოყურეში,ცაგერი-ქულბაქი, ცაგერი-მახაში, ცაგერი-დებვირი, ცაგერი-უსახელო და ცაგერი-აღვის მიმართულებებზე მომრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საწვავის თანხის გამოყოფა და სუბსიდირების სახით გადაცემა. (გადაზიდვებს ახორციელებს შ.პ.ს. „საჭე-ცაგერი“) .ამავე პროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება			

პროგრამის დასახელება	კოდი	დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	02 10		29,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქარველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (5%),		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“	დაფინანსება ათას ლარში
	02 12		83,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	გზების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში რეალური შედეგების მისაღწევად, წყალმომარაგების სისტემის ხელმძღვანელობის კონტროლის მიზნით, მისი სანიტარულ -ჰიგიენურ პირობების,ასევე სასოფლო-სამეურნეო დარგის აღდგენა-განვითარების თვალსაზრისით, არსებული პრობლემების აღმოფხვრა		



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სხვადასხვა პრიორიტეტების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა
--	--

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 661,4ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	661,4
03 03	დასუფთავების ღონისძიებები ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება“	661,4
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		661,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება“		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ცაგერის კეთილმოწყობისა და მომსახურების სამსახური ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 2 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ ცაგერისდან და მუნიციპალიტეტის სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქ.ცაგერის ნაგავსაყრელებზე. პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის ქუჩების და სკვერების სისუფთავის დაცვა, ქალაქის სასაფლაოს მოვლა–პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-შენახვა, ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება დადაცვა პირუტყვისაგან, უპატრონო მაწანწალა ძაღლების კანონის ფარგლებში ლოკალიზაცია.სანიაღვრე მეურნეობის გამართული მუშაობა, ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურეობის გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს1670 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
04 00	განათლება	1670



04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	1570
04 02	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	100
04 04		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1570
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ცაგერის სკოლამდელიდა სკოლისგარეშე სააღმზრდელო სამსახური		
პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.		
	შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ცაგერის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები.მუნიციპალიტეტში არსებული ბავშვის რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბავშვის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		100
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი		
პროგრამის აღწერა	ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, სადაც გაერთიანებული არიან მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების, ბავშვის აღზრდის და მოსახლეობის ჩართვა სხვადასხვა კონკურსებში, ხელოვნების მოყვარულთა წახალისება-პატივისცემა, მუსიკალური-ქორეოგრაფიული მონაცემების განვითარება და დახვეწა(მუსიკალური ოჯახები, დიდები და პატარები - დედა-სვილი, მამა-შვილი, ბაბუა და შვილიშვილი),ეროვნული ღირებულებებისადმი ერთგულების ჩამოყალიბება ახალგაზრდობაში, პოეზიის პატივისცემა(ნორჩი კალმოსანი, „მთის პოეტი), წარსულისადმი ინტერესის გაღვივება და პატრიოტული სულისკვეთების გამომუშავება მოსწავლე-ახალგაზრდობაში,(ჩამოგიტანეთ საქართველო ფერებიდანში, იმ საქართველოდან ამ საქართველოში). კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემა, ტრადიციების აღდგენა-ჩამოყალიბება(„შემოდგომის სურათები“, „ცაგერის ბაზრობა“, „მკლავს ჩემი ტკბილი ლეჩხუმის ჰავა“)		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2553,45 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2553,45
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	729,9
05 01 01	ა(ა)იპ ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლა	369,7
05 01 02	ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ხვამლი	172,7
05 01 03	ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“	187,5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1792,93
05 02 01	ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	350
05 02 02	ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმი	215,14
05 02 03	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა	99,07
05 02 04	ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა	71,5
05 02 05	ა(ა)იპ მთავარი ბიბლიოთეკა	215,3
05 02 06	კულტურის დონისძიებები	72,71
05 02 07	ტელე მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	8
05 02 09	ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი	131,06
05 02 11	ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი	77
05 02 15	ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი	368
05 02 16	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი	142,65
05 02 17	ა(ა)იპ დეხვირის ღია მუზეუმი	42,5



05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	30,62
-------	-------------------------------------	-------

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		729,9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ცაგერის სასპორტო სკოლა; ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“; ა(ა)იპ ცაგერის ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“;		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სასპორტო სკოლა, საფეხბურთი კლუბი „ხვამლი“ და ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული წრეები: ჭიდაობა(მიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა), ორთაბრძოლები, მკლავჭიდი,კალათბურთი, ჭადრაკი, რაგბი, კარეტე, მაგიდის ჩოგბურთი, სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. საფეხბურთო კლუბ „ხვამლში“ ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 3 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას ღებულობს რეგიონალურ ტურნირებში. ფუნქციონირებს გოგონათა გუნდი.ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“ ფუნქციონირებს დიდების გუნდი, ქვიშის და თოვლის ფრენბურთის გუნდები, მოზარდების, კლუბის გუნდი საქართველოს ჩემპიონია, გუნდები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რეგიონალურ და ქვეყნის ჩემპიონატებში, სახვდასხვა ფესივალეებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლის	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		369,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სასპორტო სკოლა. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული წრეები, ესენია: ჭიდაობა(მიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა), ორთაბრძოლები, მკლავჭიდი,კალათბურთი ; ჭადრაკი ; რაგბი ; კარეტე; მაგიდის ჩოგბურთი . სკოლაში სამწვრთნელო პროცესი, დასვენების დღეების გარდა, მიმდინარეობს ყოველდღიურად. სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში მუნიციპალიტეტის, რეგიონის და საქართველოს მასშტაბით. წარმატებით მონაწილეობენ ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ტურნირებში		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ხვამლი	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	--------------------------------	------------------------



	05 01 02	172,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ხვამლი	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი ხვამლი. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. კლუბში ასაკობრივი ჯგუფები 3 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). კლუბში საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს ლებულოზ რეგიონალურ ტურნირებში. ფინანსდება გოგონათა გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებების, გუნდების ეკიპირების და სხვა ხარჯები.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ცაგერი	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		187,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ცაგერი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ფრენბურთის კლუბი ცაგერი. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ფრენბურთის განვითარებას. მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატში . კლუბში არსებობს ქვიშის და თოვლის“ ფრენბურთის გუნდები, კლუბის მწვრთნელები და მსაჯები მონაწილეობას იღებენ ქვეყნის სხვადასხვა ტურნირებში. ახალგაზრდა ფრენბურთელების აღზრდა საქართველოს ნაკრებისთვის . ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ახალი სპორტული კომპლექსის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1792,93
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი; ა(ა)იპ მთავარი ბიბლიოთეკა ტელე მმალწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა, ა(ა)იპ - სამუსიკო სკოლა; ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი ა(ა)იპ - სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ ესტეთიკური აღზრდის ცენტრი ა(ა)იპ - ისტორიული მუზეუმი ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და ხელსეწყობის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ცაგერის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედგება ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ესენია: ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება სახალხო თეატრი,სახალხო ანსამბლი „სალადოზო“ თეატრებში წარმოდგენებს მართავს როგორც ცაგერის მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ა(ა)იპ - ცაგერის სამუსიკო სკოლის ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო განათლების სკოლა. სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია: საფორტეპიანო, საგუნდო და ქართული ხალხური სიმღერების. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებსცაგერში მუნიციპალიტეტში მცხოვრები70 ბავშვი.		



	ა(ა)იპ - სამხატვრო სკოლის ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 ბავშვი.
--	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ცაგერის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		350
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ცაგერის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ცაგერის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგადა ქვეპროგრამისაგან იგი შესაბამისად ხორციელდება მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ეს არის: ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი. ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება გრ.მდივნის სახ.სახალხო თეატრი,სახალხო ანსამბლი „სალადობო“ ,ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი, ბავშვთა 2 ქორეოგრაფიული ანსამბლი,ქალთა ანსამბლი, მუსიკალური სტუდია, კამერული გუნდი, კულტურული ობიექტი „მწვანე თეატრი“,ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება სხვადასხვა თეატრალური გამოფენების მოწყობა, სპექტაკლების და საბავშვო მიუზიკლების დადგმა. ანსამბლები და თეატრი აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც ცაგერის მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და საზღვარგარეთ კონცერტებსა და ფესტივალებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ისტორიული მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში	
	05 02 02		215,14	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ისტორიული მუზეუმი			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ცაგერის ისტორიული მუზეუმი			
	მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულიაექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ზე მეტიმუზეუმში წლის განმავლობაში მნიშვნელოვან თარიღებზე(იუბილეებზე) ეწყობა სხვადასვა ღონისძიებები და გამოფენები.			



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		99,07
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა.		
	სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია 65 მოსწავლე. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 65 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს 14(ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) თანამშრომელს. სკოლა ხელს უწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, ისწავლება ფორტეპანო, ფუნქციონირებს კლასიკური მუსიკის გუნდი, მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის კულტურულ ღონისძიებებში, ასევე რეგიონულ ფესტივალებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		71,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 17 თანამშრომელს. ქვეპროგრამა ზრუნავს მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და იგი ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგები:ხატვა, თექა, ჭრა-კერვა, ხალიჩა-ფარდაგები,ეწყობა სხვადასხვა გამოფენები , როგორც სკოლის აღსაზრდელების , ასევე სკოლის კურსდამთავრებულების,გაცვლითი პროგრამა აქვს ონის სამხატვრო სკოლასთან.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ მთავარი ბიბლიოთეკა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		215,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ მთავარი ბიბლიოთეკა		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საგანმანათლებლო და კულტურული ღონის ამაღლების მიზნით იგეგმება ბიბლიოთეკების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი მთავარი, საბავშვო, ახალგაზრდობის და სოფლის 39 ბიბლიოთეკა. მიმდინარეობს წიგნის ფონდის შევსება და დაკომპლექტება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 173359 ბეჭდურ ერთეულს, აქედან 41231 ცალი არის ქალაქის წიგნადი ფონდი, ხოლო 132128 ცალი სოფლების წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკას ჰყავს 68 საშტატო თანამშრომელი, აქედან 29 ქალაქის, ხოლო 39 სოფლის. ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება.(წიგნის დღე, დედა ენის დღე, მკითხველის დღე და ა.შ).		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		72,71
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	კულტურული ღონისძიებების ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები: -სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამა; - საპატიო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამა; -სპორტის და ახალგაზრდობის ქვეპროგრამა -რელიგიური ღონისძიებები საპატიო წოდების მინიჭების ქვეპროგრამა ითვალისწინებს 3 სახის წოდების მინიჭების ღონისძიებების დაფინანსებას, ესენია: ცაგერის საპატიო მოქალაქის წოდებების მინიჭება; კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდებების მინიჭება და/ან ჯილდოების გადაცემა; ცაგერის საპატიო მოქალაქის წოდება ენიჭება სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება მუნიციპალიტეტისა და/ან ქვეყნის წინაშე. გააჩნია განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების და სხვა მიმართულებით გამორჩეული მიღწევები. კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდების მინიჭების ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს მოღვაწეებისთვის საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელე მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 07		8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის ფუნქციონირება, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ინფორმაციის განთავსება, გამოდის ყოველთვიური გაზეთი „ლეჩხუმი“		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 09		131,06



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გენდერულ საკითხებთან მიმართებაში და საქართველოში ბოლო დროის შექმნილი მდგომარეობის, ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის მიზნით, ასევე ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი. მოსაწილეობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში. ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით კვლევების და სტატისტიკური ინფორმაციების მოპოვება და წარმოება , შესაბამისი ბაზის შექმნა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ესთეთიკური აღზრდის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 11		77
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ესთეთიკური აღზრდის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოზარდ თაობაში ქართლი ხალხური ცეკვების პოპულარიზაციასა და განვითარებას, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, ცენტრში ქორეოგრაფიას ეუფლება 80-ზე მეტი მოზარდი, არის 3 ასაკობრივი ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ , როგორც მუნიციპალიტეტის , ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო ღონისძიებებში, ცენტრში ფუნქციონირებს სახალხო ანსამბლი“ლეჩხუმი“. ცენტრში ისწავლება ასევე სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ცეკვები. საქმიანობას ახორციელებს 4 ქორეოგრაფი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 15		142,65
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	საინფორმაციო ბაზის შექმნას, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, ტურისტული ლოკაციების, კვების და სხვა ობიექტების შესახებ. ცენტრი ახორციელებს ბაზის მუდმივ განახლებას. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს ტურისტულ საინფორმაციო ბუკლეტებს და რუკებს, ორგანიზებას უწევს ტურისტულ პრომო კლიპების გადაღებას. ცენტრი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გამოფენებში სადაც წარადგენს და პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალურ პროდუქციას და წარმოაჩენსცაგვერის მუნიციპალიტეტის ტურისტულ შესაძლებლობებს. ცენტრი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს ტურისტულ კომპანიებთან, აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესახებ. ტურისტული ცენტრი შემოსულ ვიზიტორებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციით.		



--	--

	კოდი		დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის დასახელება		ა(ა)იპ ახალგაზრდობის და, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი	
	05 02 14		368,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალგაზრდობის და, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ცაგერში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა. ტრანსპორტირება განხორციელდება სამ ძირითად მარშრუტზე სასწავლო პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად. პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდობისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემა. პროგრამა შედგება შემდეგი შემდეგი 3 ქვეპროგრამისაგან: - ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა; - მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამა; - მოსწავლე ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამა. ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შეძენას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ დეხვირის ღია მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 16		42,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დეხვირის ღია მუზეუმი		
	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ეროვნული მემკვიდრეობის, სამუზეუმო ერთეულების დაცვა,მეცნიერული		



ქვეპროგრამის აღწერა	შესწავლ და შენახვა, სამუზეუმო ფონდების შევსების მიზნით, არქეოლოგიური მასალების აღიკვეთა და მეცნიერული შესწავლა. მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლების შეგროვება კვლევის, გამოფენის და დაცვის მიზნით. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ექსპედიციების ფუნქციონირება, კულტურულ-საგანმანათლებლო დასაქმებულობის საქმიანობის განხორციელება, საგამოფენო და ბეჭდვითი პროდუქციის მომზადება.
---------------------	--

17.
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 987,4 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	987.4
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	122,3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	122,3
06 02	სოციალური დაცვა	865,1
06 02 01	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	0
06 02 02	ოჯახების და ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	704,18
06 02 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა(უფასო სასადილო)	160,9

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		122,3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ცაგერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
	თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და		



